მარტი 1930 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა

№ 6 (30)



ფოტო—შ. ფურცხვანიძის.

კახეთში სხლავენ ვენახებს

# ქრონიკა სურათებში



სასოფლო მოძრავი თეატრის დასი.

## სასოფლო მოძრავი თეატრი

თეატრი მოწყობილია ცეკავშირის და ნაწილობრივ „სოფლის კავშირის“ მიერ და იმყოფება პოლიტ-განათლების მთავარ სამართველოს საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ. თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორია ამხ. ბუხნიკაშვილი.

თეატრმა დაიწყო მუშაობა 3 თებერვალს კასპის (გორის ოლქი) მთლიან კოლექტივიზაციის რაიონში და ერთი თვის განმავლობაში გამართა 40 წარმოდგენა. წარმოდგენები გამართა კასპის, ქვემო-ჭალის, ლამისყანის კავთისხევის და წითელ ქალაქის სასოფლო საბჭოების ფარგლებში.

თეატრი თავის შინაარსით სავსებით პასუხს აძლევს სოფლად მუშაობის სადღეისო ამოცანებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. პროგრამაში გამოყენებულია ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები.

თეატრს თან აქვს მარტივი ფორმის საკუთარი დეკორაციები და საშუალება აქვს მოაწყოს სცენა ყველგან, პატარა სოფლებშიაც-კი სადაც სპეციალურად მოწყობილი სცენები არ არის. თეატრის მიზანსაც სწორედ ის შეადგენს, რომ გამართოს წარმოდგენები უფრო პატარა და ჩამორჩენილ სოფლებში.

წარმოდგენები დიდის წარმატებით მიდის და გლეხობა კმაყოფილია თეატრის მუშაობით.



ლონდონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ახალი უზარმაზარი ვაგონი, რომელსაც აქვს 56 ბორბალი. ვაგონი იტევს 9.000 ფ. ტვირთს.



## ახალი ტიპის ორთქლმავალი

გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს ქარხანაში აგებული იქნა ახალი ტიპის ორთქლმავალი, რომელიც უკვე დიდათ განსხვავდება არსებულ ორთქლმავლებისაგან. ახალი ორთქლმავალი ძლიერია და შეუძლიან ცხრაჯერ მეტი ტვირთის ზიდვა დაამასთანავე იგი საჭიროებს სამჯერ ნაკლებ საწვავ მასალას.

სურათზე: ახალი ორთქლმავალის შემოწმება ამუშავების წინ.



**კასპი**

კოლექტივის წევრი უკითხავს გლეხებს ამხ. სტალინის წერილს კოლექტივიზაციის შესახებ.



მუშათა ახალი სახლი ბათომში (სადგურთან).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-76.

# დროშა





ჩაის გასხვლა საბჭოთა მეურნეობებში

## კოლექტივიზაციის ფრონტზე

მატარებელი ზღვისპირით მიუახლოვდა ჩალაუბანს. გამოჩნდა ალაზნის ველი. აქა-იქ დაფარული ჭალით და ტყით.

აი, კახეთი, საქართველოს ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე. ალმასისფერით და ზურმუხტოვანი კახეთის საზღვრებს მოჩანს. თოვლით შემოსილი კავკასიონი, რომლის ზოგ მწვერვალზე ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა, საშინელი გაჭიმული ლაშქარი. ტყით დაფარული ცივი გომბორი, მთა ველზე მიმდინარეობს აუჩქარებლად ალაზანი, რომელიც, ახალი არხის საშუალებით, მორწყავს ველს და გაანოყიერებს მდიდარ ნიადაგს.

გურჯაანიდან, რომელიც დღეს წარმოადგენს კახეთის ადმინისტრატიულ ცენტრს, თელავზე გავლით, მივდივართ ყვარლისაკენ. პირველად მიხვდება კაცი ალაზნის ველის და განაკიდურებით ვათვალიერებ არე-მარეს და ვტკბები კახეთის სილამაზით.

გზა თელავიდან ყვარლამდე საუცხოოა, ლარივით გაჭიმული. მეზობლის ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ალაზნის ველის ნოყიერი მიწა მრავალ ადგილას დაუმუშავებელია, გამოუყენებელი. ვეკითხები მეზობელ გლეხს, თუ რატომ არა სარგებლობენ ამ მიწით?

— მიწა ისედაც ბევრია და ამიტომ არა ვხნავთ ზედმეტს.

— ეს არ არის მართალი. კახეთის ნიადაგს უნდა სათანადო მოვლა - გამოყენება. უეჭველია, კახეთის კოლექტივები უფრო სარგებლიანად გამოიყენებენ ამ საუცხოო ნიადაგს, ვიდრე ეს იყო დღემდი.

აი, კუდი გორა. აქ იმალებოდა და აქედან ცხოვრობდა ყაჩაღი კაკო ბლაჭიაშვილი, თავად-აზნაურების და ვაჭრების შეჯავრებულების დაუძინებელი მტერი. კაკოს კარგად იცნობს კახეთი, ისე, როგორც არსენას—ქართლი. ორთავენი შეურიგებელი მტრები იყვნენ საწყალი ხალხის მტრებისა და ორთავემ დაიმსახურეს ამ ხალხის სიყვარული. მოხსენიება არსენას საფლავი მცხეთაში წარწერით:

„აქ განისვენებს ყაჩაღი,
ყველგან ცნობილი არსენა,
ხალხისაგან კურთხეული,
ღმერთმაც კურთხევით ახსენა".

ღმერთისა რა გითხრათ, მაგრამ ჩვენი გლეხობა კი სიყვარულით იხსენიებს იმას, ვინც „მდიდარს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა".

—:—

ყვარელის კოლექტივი თავის ჩამოყალიბების მეორე დღიდანვე შეუდგა საზოგადო მუშაობას. თუმც კოლექტივის ხელმძღვანელებს პირველ დღეებში არ ჰქონდა მუშაობის გეგმა და საჭირო ინსტრუმენტები, მაგრამ მათ დრო ტყუილ-უბრალოდ არ დაჰკარგეს და შეუდგნენ მუშაობას.

ყვარელის კოლექტივმა დაანაწილა გლეხობა სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ. გლეხობის ნაწილი გაიგზავნა სამუშაოდ ვენახებში, ნაწილი—მინდვრად, ცხვარში, ნაწილი კი—არყის ქარხნებში.

მუშაობა გაჩაღდა. სასიამოვნო სანახავი იყო გლეხობის ერთობლივ გასვლა მინდვრათ და ვენახებში სიმღერით და სიმღერითვე დაბრუნება სოფლად. ბევრი სოფელი მინახავს, მაგრამ, ასეთი ერთგული და მეყაითი მუშაობა არ შემჩნევლია არსად.



**სოფ. შერთული. ვაშლის ხეების გასხვლა კოლექტივ „წითელი სხივი"-ს ბაღში.**

ყვარელის კოლექტივის წევრები სამაგალითოდ, გასაკვირებული ენერგიით მუშაობენ, აბრუნებენ მიწას, სხლავენ ვენახებს, ეცილებიან ერთი მეორეს—ვინ უფრო რიგიანად და მეტ სამუშაოს გააკეთებს.

ყვარელი მოზრდილი სოფელია. კოლექტივში ითვლება 1380 კომლი. ყვარელის კოლექტივის მაგალითი საუკეთესოა იმ სოფლებისათვის, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული კოლექტივები. ეს არის ლეკების სოფლები, ყვარელის რაიონში და მის მახლობლად მრავლად მოსახლეობენ ლეკები, რომლებიც მისდევენ მესაქონლეობას. ლეკები ხედავენ კოლექტივის წარმატებას, საზოგადო შრომის სარგებლიანობას და მათში იზრდება მისწრაფება კოლექტივებისა და არტელებისაკენ.

—:—

არა სძინავს კლასობრივ მტერს. კულაკობა გააფთრებით იბრძოდა და იბრძვის სხვადასხვა საშუალებებით კოლექტივების წინააღმდეგ. მაგრამ, ღარიბი გლეხობა ფხიზლად არის და კულაკობას აძლევს სათანადო პასუხს. ვინ მოსთვლის, რამდენი ჭორი გაავრცელეს კულაკებმა კოლექტივების ირგვლივ, რამდენი ვენახი გაათხრეს მათ.

— ტყუილად ჰგონიათ, რომ გლეხობას არ შეუძლიან თავისი საკუთარი ძალით გაუძღვეს კოლექტივებს. ამბობდნენ, რომ კოლექტივის წევრები ერთმანეთს დასჭამენო, კოლექტივი მალე დაირღვევაო. აბა, მოვიდნენ და ნახონ, თუ როგორი ხალისით ვმუშაობთ,—ამბობენ ყვარელის კოლექტივის წევრები.

ენერგიული, ძმური და შეთანხმებული მუშაობა—აი რითი გასცეს პასუხი ყვარელის გლეხებმა კულაკების პროვოკაციას.

—:—

ალაზნის მარჯვენა ნაპირას გაშენებულია პატარა სოფელი, რომელსაც ეწოდება ალავერდი. იმის გამო, რომ ეს სოფელი პატარაა, დაშორებულია რაიონის ცენტრიდან და აგრეთვე იმიტომ, რომ სოფლის მოსახლეობა ძლიერ არის ჩამორჩენილი კულტურულად, კულაკების გავლენა აქ საგრძნობი იყო პირველ ხანებში. ამბობდნენ, რომ ალაზნის გაღმა მხრიდან გაძევებულმა კულაკებმა აქა ჰპოვეს თავშესაფარიო. მაგრამ ალავერდელები მალე დარწმუნდნენ თავის შეცდომაში. ისინი გაერთიანდნენ კოლექტივში, გაასუფთავეს სოფელი მავნე ხალხისაგან, რომელიც უშლიდა ხელს მუშაობას და შეუდგნენ ერთობლივ შრომას. მუშაობენ მეყაითად.

— საქმე იმაშია, შენი ჭირიმე, რომ ყოველივე საქმეს სჭირია კარგი ხელმძღვანელი. უარზე არავინ არ არის, ღარიბები ვართ, უსწავლელნი. ჩამგონებელი გვინდა, რომელიც სწორ გზაზე დაგვაყენებს და გვიხელმძღვანელებს—მეუბნება ალავერდელი გლეხი.

—:—

იქ, ზევით, სადაც ალაზანი ჰგავს პატარა მთის ნაკადს, სცხოვრობენ, თუშები, ქისტები. არ არის სახარბიელო მათი ცხოვრება.

— ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა—ამბობს ერთი თუში—ნიადაგ ვწვალობთ. მოსვენება არა გვაქვს, ბარელებს რა გიშავთ.

მართლაც და ძნელია მთაში ცხოვრება და მუშაობა, ბრძოლა მკაცრ ბუნებასთან.

კოლექტივიზაციის ტალღამ მიაღწია მთამდისაც. აქაც დაიწყო მოძრაობა კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად. თუშები ჩაებნენ საერთო ფერხულში, რათა არ ჩამორჩენილიყვნენ საერთო ცხოვრებას და მოკლე ხანში ჩამოყალიბდა რამდენიმე მესაქონლეთა არტელი.

მოკლე ხანში მზე გაადნობს თოვლს და ყინულს, რომლებიც აძნელებენ მიმოსვლას მთაში. გამოიღვიძებს ბუნება, გაიხსნება გზები და აქ, მთაში, დაიწყება გაცხოველებული მუშაობა. ჯერ-ჯერობით კი საჭირო წარი სამზადისი მთაში მუშაობის სა ლად.

—:—

ერთ თვეზე მეტი დავყავი კახეთში. ეთრდებოდი გლეხობის ფართე, მასიურ ძრაობას, მათ საქმიანობას, მისწრაფებას კოლექტივებისაკენ, ყურს ვუგდებდი მათ სა ბაასს, ლაპარაკს საერთო კრებებზე, ვებაა ბოდი ცალკე გლეხებს, რომ შემეტყო მათი აზრი ამ ახალი მოძრაობის ირგვლივ. და წმუნდი, რომ გლეხობა სულით და გულით მთელი თავისი არსებით მიისწრაფის კოლექტივებისაკენ. მას სურს დააღწიოს თავი ღარიბეს, სიღატაკეს, ბეჩაობას, უსწავლელობას—იგი დარწმუნებულია, რომ ამას მი ღწევს კოლექტივიზაციის გზით.

—:—

კახეთის შემდეგ ქართლი ვინახულე. ორ მოდენიმე დღით ვესტუმრე კასპის რაიონ რომელიც გადასულია მთლიან კოლექტივიზაციაზე.

კვირა დღე იყო. გლეხები შეგროვილიყვნენ საბჭოს შენობასთან და გაებათ სჯა-ბაასი.

— კაცო, რატომ ერთი ტრაქტორი მაინ არ მოგვაწოდეს, რომ ამ ურიამი რიგიანად მოგვეხნა. ამბობენ, გორში აუარებელი ტრაქტორებიაო, რა იქნებოდა, ერთი ჩვენთვისაც გამოეგზავნად—ამბობს შაქრო ბერიაშვილი.

თესლის საქმეც ვერ არის კარგათ კასპის რაიონში. სიცაა უნდა მიწა დაითესოს და ქე რის თესლი კი საკმარისი არ არის.

ნიადაგი აქ მაინც და მაინც არ არის ნოყიერი, მას სჭირია ხელოვნურად განოყიერება, რომ აანაზღაუროს დახარჯული შრომა.

კასპის რაიონში მოდის საუკეთესო ხარისხის ყურძენი, ე. წ. კასპურა. ვენახები განადგურებულია ფილოქსერის მიერ. ეხლა იწყება ვენახების აღდგენა, მიწის გადაბრუნება. კოლექტიური შრომით შესაძლებელი იქნება ვენახების აღდგენა მთელი 100 პროც. დამზადებული იქნება 120.000 ცალი ნამყენი ვაზი, არსებული ვენახები კი იქნება მოვლილი და შეწამლული.

კასპის რაიონში მწვავედ სდგას ხელმძღვანელობის საკითხი. კოლექტივებს ესაჭიროება კარგი, გამოცდილი ხელმძღვანელები, რომლებიც რიგიანად წაიყვანენ საქმეს.

— ჩვენა, შენი ჭირიმე, ძალიან ჩამორჩენილები ვართ. ეს ხომ დასამალი არ არის. ჩვენ გვინდა ისეთი ხალხი, რომელიც აგვიხსნის და გაგვაგებინებს საქმეს. ბევრმა გლეხმა რიგიანად არც კი იცის, რა არის კოლექტივი და რა უნდა აკეთოს კოლექტივის წევრმა.

ასე ამბობენ კასპელი გლეხები.

**ე. ხუციშვილი.**



კახეთის რაიონში აგრონომი განუმარტავს კოლექტივის წევრებს ვაზის გასხვლას და დამყნობას.

# ძია ნესოს ქვის აბანო

## ოვ. თუმანიანი*)

კირაკოზა გაცივდა. ლოგინად ჩავარდა და იტანჯებოდა.

ავადმყოფს მეგობრები ეწვივნენ. ზოგი ავადმყოფის სასტუმალთან ჩამოჯდა, ზოგი შორიახლოს დადგა. ჩიბუხი გააბოლეს.

— იცით, რას გეტყვით, ბიჭებო? თუ კირაკოზამ ოფლი არ მოიდინა, ცუდათ იქნება მისი საქმე, მოდი, ქვის აბანო გაუკეთოთ,— წარმოსთქვა ძია ნესომ და თან ჩიბუხის ბოლი პირიდან ბოლომად გამოუშვა.

— მართალია!

— სხვა გზა არ არის!

— კირაკოზ!

— რ-ა ი-ყ-ო...

— ქვის აბანოზე როგორა ხარ? მოგიმზადოთ?

— მეშინიან... ვერ ავიტან...

— აიტან კიდეც მეტიც იქნება!

— არ ვიცი... არ ვიცი... როგორც გინდათ ისე მოიქეცით...

— აბა ქალებო, ჩაასხით ქვაბში წყალი და ქვებიც შემოიტანეთ!

დატაცურდნენ დედაკაცები: შედგეს ქვაბი ცეცხლზე. შემოიტანეს ქვები.

ყველანი ისევ თავის ალაგას დასხდნენ.

წყალი ნელნელ თბებოდა...

ძია ნესო ხამუშ-ხამუშად უამბობდა ხალხს იმის თაობაზე, თუ ამგვარ „ქვის აბანოს" რამდენი ავადმყოფი მოურჩენია! ვინ მოსთვლის? ეს თითაანთ დანელა მოთოსაანთ მინასა, წატურაანთ სტევანა, მაშკაეორაანთ მიქუა!—და ძია ნესომ იმდენი სახელი ჩამოთვალა, რომ ამასობაში წყალი ადუღდა და ქვებიც ავარვარდა.

— ეხლა კი, ბიჭებო, წამოდექით... — წარმოსთქვა ნესომ.

— ძმებო, მეშინიან... დაიგმინა ავადმყოფმა.

— შენი საქმე არ არის, გაჩუმდი! ნათლიდედა, აბა, ერთი სქელი ხალიჩა მოგვიტანე! თქვენ, ეი, ყმაწვილებო, მომეშველენით!

ძველ კონკებში გახვეული ქვაბი ოთახის შუ გულში დასდგა. მის გვერდით ავადმყოფი დააწვინეს და ქაფქაფა წყალში გახურებული ქვები ჩაჰყარეს. როცა წყალი აშიშინდა და ომხივარი ლრუბელივით მაღლა ავარდა, ავადმყოფი თბილად შეფუთნეს. მერე ქვებსა და ავადმყოფს ხალიჩა გადააფარეს და ზედ დაჯდნენ.

— ვკვდები... სულთქვა შეხუთება ...—ყრუდ ამოიკვნესა ავადმყოფმა.

— არ მოკვდები!... დაავაწვეთ, რაღა! შენ, მოსო, თავი დაუჭი, შენ კი, ზენო—ფეხებზე დააჯექი!

დაოსებული ავადმყოფი ბღაოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა თავი დაეღწია ამ მტანჯავ მდგომარეობისთვის, მაგრამ ამაოდ: ექვსი აყლაყუდა ზედ აჯდა და განძრევის ნებას არ აძლევდნენ.

— რას მიიწევ, ყურუმსაღო, იწექ წყნარად, რაღა! ღრიალებდნენ და ხარხარებდნენ ავადმყოფზე მჯდომი გლეხები და ძალუმად აწვებოდენ უბედურ კირაკოზას.

— აი, ნახავთ, თუ ეხლავე ოფლი არ მოუვიდეს,— წარმოსთქვა ძია ნესომ და ჩიბუხი ააბოლა.

ნესომ განაგრძო შეწყვეტილი ამბავი.

—... იმას ვამბობდი: ამ ერთი წლის წინად აბგარაც გაცივდა, როგორც, აი, ეს ჩვენი კირაკოზა. ვერ იქნა და ვერა, ოფლი ვერ მოიდინა. რა არა ვცადეთ: ეს სელის თესლის გამონაზარშიო, ეს ძმრით ტანის დაზელვაო, ათასგვარი ფხვნილიო,—მაინც ვერაფერი ეშველა... ვთქვი: „მოდი, ახლა, ყმაწვილებო, ქვის აბანო ვცადოთ!" ხელად წამოვადუღეთ თანგირა ქვაბი, გავახურეთ ქვები... აბგარაც ასე ამბობდა: „არ მინდა და არმინდაო. მეშინიანო!" ჰოიმე, რა ჯაბანი ვინმეა ი ვერანა აბგარა, ე!

— მაგას რად ამბობ, ძია ნესო! აბგარა კირაკოზაზედ გულადია!

— ბოლომდე მომისმინე და მერე შემესიტყვე! შემოდგომაზე დათვის ერთ ბუნაგს მივაგენი. მივდივარ აბგარასთან და ვეუბნები: ძლივს დათვის ბუნაგი ვიპოვე, წამომყევი, დათვი დავიჭიროთ-მეთქი! წავედით. მე ფიჩხის ჯოხით დავუწყე ნადირს გაღიზიანება ერთიც ვნახოთ, გამოძვრა სოროდან დათვი და პირდაპირ კანჭში მწვდა, ვყვირი: აბგარ, მიშველე! მაგრამ შენც არ მომიკვდე, სად არის აბგარა? დათვის ცხვირზე პირდაპირ შინისკენ მოეკურცხლა. ბოლოს, როგორც იყო, დათვს თავი დავაღწიე და შინ მოველი. აბგარა იქ დამიხვდა. ვეუბნები: „სად გაგონილა, გაჭირვების დროს ამხანაგი მიატოვო და გაიქცე-მეთქი!" მეუბნეობა: „კი არ შემშინებია, იარაღის მოსატანად წამოველი დათვის მოსაგერებლადაო!"

რაზე დავიწყე ეს ამბავი? ჰო... აბგარაც ასე გმინავდა და მეხვეწებოდა. ნესოჯან, არ მინდა ეგ რაღაც დოზანა ქვის აბანოაო! მაგრამ იმისი ლაპარაკი ჩირადაც არ ჩავაგდე. ქაფქაფა წყალში ჩაშვებით გახურებული ქვები და ომხივარი ავარდა თუ არა დავაწვინეთ აბგარა ქვაბთან, თბილად შევფუთნეთ და ზედ ფარდაგი გადავაფარეთ. ის კი ყვირის ქვევიდან: „ვკვდებიო!" ზედ ვაზივართ: მე, ჩვენი ლუკასა, ფილუა, გაბუა, არუთა .. ის კი სულ ბღავის და ბღავის! იმდენი იბღავლა, ვიდრე დაიჭანცებოდა. ცოტა ხნის შემდე ავხადეთ ფარდაგი და ჩვენი აბგარა მთლად ოფლში სცურავდა. აა, ასე მოვარჩინე, ბიჭებო მაშ! დღის ეხლა ალხეინად და წკიპურტსაც არ იკარებს.

— ძია ნესომ აბგარას ამბავი რომ დაამთავრა, ავადმყოფზე მჯდომი გლეხები წამოდგნენ და ხალიჩა გადახადეს... ადუღებულმა წყლის ბულმა ოთახი დაჰფარა.

— კირაკოზ!

ხმას არავინ იღებდა.

— კირაკოზ!!!

პასუხი არ იყო.

— კირაკოზ!!!

კირაკოზას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა

— ბიჭოს! ეს რაღა ამბავია?—წარმოსთქვა გაოცებულმა ძია ნესომ.

— პასუხი არავის გაუცია?

— ღმერთო ძლიერო! დაშეღუპა ოჯახი, გამწარებით დაიკივლა კირაკოზას ცოლმა.

გლეხები თითო-თითოდ სტოვებდნენ ოთახს ყველამ ბანზე მოიყარა თავი.

და იმ დროს, როდესაც უდროოდ დაღუპულ კირაკოზას მისი საცოდავი ცოლი დასტიროდა, ზევით, ბანზე, კირაკოზას მეგობარი გლეხები მასლაათობდნენ ქვის აბანოს მავნებლობაზე.

— ვინ იცის, რამდენი ადამიანი უმსხვერპლია ქვის აბანოს...

— ანესაანთ პარონა, მელქოაანთ ვანესა, ახვერდაანთ ალალუა, შიმალაანთ შამირა...

— ეჰ. ვინ მოსთვლის!

— ტყუილად კი არ უთქვამთ: ადამიანს რაც შუბლზე აწერია, ის დაემართებაო!

— ეჰ, ერთი შენცა... მოჰყვები ლაპარაკს! თუ მართალი გინდათ, ნესომ გამოახრჩო საწყალი ჩვენი კირაკოზა,—ჩამოართვა სიტყვა ახალგაზდა გლეხმა.

ნესოს თავი ჩაეღუნა, ხედვა გაექვავებინა, დუმილით ისმენდა მეზობელ გლეხების გადაკრულ სიტყვებს და ჩიბუხს ძალუმად სრუტავდა.

თარგმანი სომხურით

**ი. გრიშაშვილის-მიერ.**

*) წელს, 23 მარტს, შესრულდა შვიდი წელიწადი, რაც გარდაიცვალა სომხეთის ცნობილი მწერალი **ოვ. თუმანიანი**. ვბეჭდავთ მისი უკანასკნელი მოთხრობის ერთ ნაწყვეტს.

# მშრომელი ქალის სიმღერა

მშრომელ ქალთა
ხლვა ლაშქარი
მოდის მხნეთ და
მწკრივად.

მოდის და
მოაფრიალებს
ამაყ წითელ
დროშებს;

ალისფერად
ავარაყებს
ზამთრის
ღერო სარისებს.

დღეს მშრომელი
ზეიმს იხდის,
ინტერნაციონალის ხმები
მხნეთ და რისხვით ისმის.

სოფლებიც წითლად
მორთულია,
რაზმავს თავის ძალებს;

მიტინგები
მოუწყვიათ
მშრომელ გლეხის ქალებს.

დებო, ჩვენთვისაც
გათენდა
სანატრელი
დილა;

სხვა ქვეყნებში
ბორკილები
ჯერ არ დალეწილა.

თუმცა იქაც
ბრძოლის დროშა
თამამად აწვდილა,

ოქტომბერში დაჰკრა ბუკმა,
დაიგრგვინა ქუჩამ;

ჩვენს იერიშს,
რისხვით საესეს,
მტერი ვერ გაუძლო.

მაშ, წინ, დებო,
გაბედულათ,
მტკიცეთ,
მხნეთ და მედგრად;
ყველა ქვეყნის
მშრომელ ქალთა
მტრებზე ასამხედრად!

**გ. ძუჩიშვილი**



ქუთაისში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა მიმდინარეობს. იგება ახალი ფაბრიკები და ქარხნები. ვითარდება მრეწველობა. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ახლად აგებული ბარიტის ქარხანა. სურათზე—ბარიტის ქარხნის სამანქანო განყოფილება.

# 25 წლის წინად

## (გლეხების მოძრაობა ქართლში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გლეხების მღელვარება, რომელიც დაიწყო ამას წინად გორის მაზრაში, თანდათან ფართოვდება და ღებულობს მწვავე ხასიათს. გასულ კვირას სოფელ ზემო გორში შესდგა გლეხების ყრილობა. გლეხებმა გადასწყვიტეს ამიერიდან თავისუფლად ისარგებლონ თავად-აზნაურების მამულით და აღარ მიმართონ სამ[illegible]ებისათვის ხელისუფლებას, არამედ ყველა საქმე აწარმოონ არჩეული ხალხის საშუალებით. ასეთივე ყრილობა შესდგა მიხაილოვოში (ხაშური) ადგილობრივი დეპოს მუშების თანადასწრებით".

ასეთი ცნობა იყო მოთავსებული მთავრობის გაზეთ „კავკაზ"-ში 1905 წლის 15 მარტს (ძვ. სტ.) უნდა ითქვას, რომ მეფის მთავრობის გაზეთი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არა სცრუობდა. იგი ამბობდა სიმართლეს: გლეხობის მოძრაობამ ამ 25 წლის წინად, მარტში, გაზაფხულის პირზე, მიიღო მასიური ხასიათი. ქართველი გლეხობა, უზომოდ დაჩაგრული და გაძვალტყავებული, გამოვიდა მოთმინებიდან და მუშების ხელმძღვანელობით ააფრიალა აჯანყების დროშა, რომელზედაც ეწერა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება".

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოძრაობაში ჩაებნენ არა მარტო ის სოფლები, რომლებიც მდებარეობენ რკინის გზის სადგურების და სამაზრო ცენტრის ახლო, არამედ ის სოფლებიც, რომლებიც დაშორებული იყვნენ ქალაქებისა და დაბებისაგან და სადაც იშვიათად თუ მოხვდებოდა ქალაქიდან გაგზავნილი პროპაგანდისტი, ან აგიტატორი.

1905 წლის მარტი იყო ის თვე, როდესაც გლეხების მოძრაობამ მიაღწია უმაღლეს წერტილს. არ დარჩენილა ქართლის არც ერთი სოფელი, რომელსაც არ მიეღო მონაწილეობა საერთო მოძრაობაში და არ შეეტანა წვლილი საერთო განმათავისუფლებელ საქმეში.

მაშინდელი გაზეთები (მთავრობის, სოციალ-დემოკრატიული, ნაციონალისტური და სხვები) სავსე არიან ცნობებით გლეხობის მოძრაობის შესახებ.

გაზ. „კავკაზ"-ში მოთავსებულია მხოლოდ მშრალი ცნობები იმ ამბების შესახებ, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი ქართლის სოფლებში. „მოგზაური", „ცნობის ფურცელი" და სხვა ქართული გაზეთები კი დაწვრილებით აგვიწერენ ქართლის ამბებს და მოჰყავთ უტყუარი ცნობები გლეხების მოქმედების შესახებ.

აი რა ცნობებს გადმოგვცემს „კავკაზი"-ი ქართლის ამბების შესახებ.

„7 მარტს სოფ. კარალეთის გლეხებმა გაანადგურეს სოფლის კანცელარია. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა კანცელარია გადაეტანა თავად ერისთავის სახლში".

„ცხინვალში გაიმართა გლეხების დიდი ყრილობა. გლეხები და ადგილობრივი მცხოვრებნი დადიოდნენ წითელი დროშებით და მღეროდნენ „ვაშა"-ს და „ერთობას".

„11 მარტს სოფ. ქარელში გლეხები თავს დაესხნენ თავად ერისთავის კარ-მიდამოს. ამავე დღეს სოფ. რუისში გლეხებმა დაანგრიეს სოფლის სკოლა". (გაზეთი „კავკაზი", № 70, 1905 წელი, 13 მარტი").

ამავე ნომრით გაზეთი გვატყობინებს, რომ გორის მაზრაში გაიგზავნა ჯარი.

გაზ. „კავკაზ"-ს ზოგიერთ სოფლების შესახებ მოჰყავს უფრო დაწვრილებითი ცნობები.

„12 მარტს სოფ. ოძისის გლეხების კრებამ მოითხოვა, რომ მათთან გამოცხადებულიყო ადგილობრივი თავადი ერისთავი და სახელმწიფო მამულის მმართველი. გლეხებმა მოსთხოვეს მათ, რომ სოფლისათვის გადაეცათ ყველა მიწები".

„ახალგორში შეიკრიბა 1500-მდე გლეხი, რომლებიც ყვიროდნენ: გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობას.

ააფრიალეს რა წითელი დროშა, გლეხებმა დაინახეს, რომ მათ წინააღმდეგ მოსახლედებული იყო ჯარი. ჩამოხსნეს წითელი დროშები და მოითხოვეს, რომ მათთან მისულიყო ბოქაული მოსალაპარაკებლად და გლეხების მოთხოვნილებების გასაცნობად. მერე გლეხებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში და გადასწყვიტეს თავისი მოთხოვნილებების გამომჟღავნება გადაედოთ 20 მარტამდე. დაშლის წინ გლეხებმა შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ ექნებოდათ ყოველთვის ერთი აზრი". (გაზეთი „კავკაზი", № 70, 1905 წელი).

„სოფ. ძევერის გლეხობამ გააძევა სოფლიდან ყველა თანამდებობის პირნი, დახურა სოფლის სამმართველო და თავადებს ჩამოაცალა მოსამსახურეები".

„სოფ. ტირძნისის გლეხობამ გადაასახლა სოფლიდან თავადი სულხანიშვილი და გადასწვა მისი სახლ-კარი".

„15 მარტს, შინდისში, 600 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ გაანადგურა სოფლის კანცელარია. გამოიყვანეს ბოქაული, რომელსაც გლეხებმა განუცხადეს: „ახლო ნუ მოხვალ, თორემ მოგკლავთო". გლეხებმა დახიეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი".

„17 მარტს სოფ. აჩაბეთის და სხვა სოფლების გლეხობამ, რომელთა რიცხვი უდრიდა 1000 კაცს, ძირიან ფესვიანად გაანადგურა თამარაშენის სოფლის კანცელარია" (გაზეთი „კავკაზ"-ი № 80, 1905 წელი 25 მარტი).

ასეთ ცნობებს იძლევა გლეხების მოძრაობაზე ოფიციოზი „კავკაზ"-ი.

როგორც წინათ ვსთქვით, მუშათა გაზეთები იძლევიან უფრო დაწვრილებით და სწორ ცნობებს ამ მოძრაობის შესახებ.

აი რას სწერს „მოგზაური" (№ 10. 1905 წელი, 20 მარტი) ქარელის ამბების შესახებ: „11 მარტს შეიკრიბა 400 კაცი და მიუხტა თავად ცოციშვილს, რომელსაც ტბაში აუზიანი წყარო აქვს გამართული. ამ ტბაში ეს ერთადერთი წყაროა და მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ ამ წყაროთი სარგებლობა. ხალხმა ეზო დაანგრია და წყარო გახსნა. ამ არეულობის დროს აქ იყო 4 სტრაჟნიკი. ხალხმა მოითხოვა მათი წასვლა და ისინიც წავიდნენ. აქედან ხალხმა ჩამოუარა სხვა თავადებს და მოსამსახურეები წაართვა. ამ ამბის გამო საღამოთი გორიდან ამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე 20 სტრაჟნიკით".

„მოგზაური"-ს ამავე ნომერში ვკითხულობთ: „სოფ. ერთაწმინდიდან იწერებიან, რომ იქაურ კლერიკალობას მოუყრია თავი და ულაპარაკია თავის ჭირ-ვარამზე. მოუთხოვიათ, რომ საეკლესიო გადასახადი გაწერილი იქნეს შეძლების კვალობაზე".

ფრიად საინტერესო წერილია მოთავსებული „მოგზაური"-ს 1905 წლის 27 მარტის ნომერში (№ 11) წერილი ეხება სოფ. ძალისში მომხდარ ამბავს. წერილის ავტორი იტყობინება, რომ ძალისში დააპატიმრეს 2 კაცი, რომლებსაც ბრალდებოდათ „ბუნტის" თაობა. დაპატიმრებულნი გადაგზავნეს მუხრანში. მუხრანში გამოცხადდნენ ძალისის, წილკანის, მჭადის ჯვარის, გომის-ხევის, შიო-ხევის, ქვეთიერის წყაროს, კოდის წყაროს მცხოვრებნი, კომლზე კაცი და მოითხოვეს დაპატიმრებულების განთავისუფლება. გლეხები ეუბნებოდნენ მაზრის უფროსს: „დამნაშავეა მთელი სოფელი, რადგან არა მარტო დაპატიმრებულები, არამედ ჩვენ ყველანი მოვითხოვთ თავისუფლებას, მიწას, ტყით სარგებლობას". მაზრის უფროსმა გაათავისუფლა დაპატიმრებულები გლეხების დაჟინებით მოთხოვნით.

ცხადი იყო, რომ გლეხების მოძრაობას ჰქონდა ეკონომიური მიზეზი. გაძვალტყავებული გლეხობა მოითხოვდა მიწას, ტყეს, წყალს, მექრთამე მოხელეების გაძევებას, თავად-აზნაურების თარეშის აღკვეთას. მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ მეფის მთავრობა მიიღებდა ყოველგვარ ზომებს, რომ შეენარჩუნებინა არსებული მდგომარეობა. მეფე ასეც მოიქცა. მან დაძრა გლეხების წინააღმდეგ იხმარა თოფი და ტყვია.

„დუშეთის მაზრაში, თანახმად მაზრის უფროსის შუამდგომლობისა, ჯარი გაიგზავნა".

„როგორც გავიგეთ, თბილისიდან ქართლში გაიგზავნა მსროლელი პოლკის ერთი ბატალიონი". („ცნობის ფურცელი" № 2767, 11 მარტი, 1905 წელი).

„16 მარტს, გორში გაიგზავნა ყაზახთა ეისკის პოლკის ორი სოტნია. ეს ყაზახები ორ რაზმად წავიდნენ: ერთში იყო 116 ყაზახი და 4 ოფიცერი, მეორეში—117 ყაზახი და 3 ოფიცერი („მოგზაური" № 11, 1905 წელი 27 მარტი).

„11 მარტს, ღამე, გორიდან ქარელში საჩქაროდ გაიგზავნა ერთი როტა ჯარი ნოვობაიაზეთის პოლკის და 2 ოფიცერი („ცნობის ფურცელი" № 2769, 13 მარტი, 1905 წელი).

მოხუცებულებს ეხლაც კარგათ ახსოვთ, თუ როგორ აწიოკა დამსჯელმა რაზმმა ქართლის სოფლები და როგორ იძია შური მთავრობამ და თავად-აზნაურობამ ღარიბ და გაბეჩავებულ გლეხობაზე. განადგურდა სოფელი, გაიტაცა გლეხის ქონება, გადაიწვა სახლ-კარი, საბძელი, ჯარმა დახოცა უამრავი საქონელი. სოფლიდან გაძევებულ და გადასახლებულ იქნა ციმბირში და ცივ ქვეყნებში მრავალი მოწინავე გლეხი, რომლებიც დაიხოცნენ კატორღაში და ციხეებში.

ე. გორელი.

# ეკატერინე გაბაშვილი

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ე. გაბაშვილის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

ეკ. გაბაშვილი დღემდე ცოცხალია სული ჯანით და გონებით. დღესაც მის მოსიყვარულე გულს ახარებს ჩვენი წარმატება.

ე. გაბაშვილი დაიბადა 1851 წ. ქალაქ გორში. მისი მამა რევაზ თარხნიშვილი, თავის დროისთვის განათლებული და კაცთმოყვარე ადამიანი იყო.

12-13 წლის კატო მამამ თბილისში ჩამოიყვანა პანსიონში მისაბარებლად. 1868 წ. 17 წლის კატომ დაამთავრა იგი.

ზაფხულს და შემოდგომას სოფელში ატარებდა, სადაც საზოგადო საქმესაც ყურადღებას აქცევდა. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო პირველ ქართულ წარმოდგენაში, სადაც სცენაზეითამაშა.

პირველი მისი გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე ეკუთვნის 1870 წ. როდესაც მან დასწერა „გლეხების აზრი სასოფლო სკოლაზე“.

ამ წერილის შემდეგ ეკატერინეს კალამი არ გაუგდია ხელიდან. მოთხრობის წერა დაიწყო 80 წლიდან.

„ივერიის“ პირველ ნომერში მოათავსა მოთხრობა „კონა“. ამის შემდეგ არ ყოფილა ისეთი ქართული ჟურნალი, რომ ეკატერინეს არ ეთანამშრომლოს. ეკატერინე სწერდა აგრეთვე საყმაწვილო მოთხრობებს ნაკადულსა და ჯეჯილში, სადაც ის საუცხოვო გულწრფელობით ბავშვებს უნერგავდა ღარიბ ხალხისადმი სიყვარულს.

ეკატერინე გაბაშვილი საზოგადო საქმეშიც მხურვალე მონაწილეობას იღებს. სათავადაზნაურო სკოლის დაფუძნების პირველი ნაბიჯი მას ეკუთვნის.

ეკატერინეს ღრმად სწამს, რომ ქალის განვითარებაზე დამოკიდებულია ოჯახის წარმატება და ახალი თაობის დაწინაურება. ამიტომ ის ცდილობს ქალების სკოლის დაარსებას.

„მისი საქმიანობის საუკეთესო ნაყოფი არის, ამბობს იაკობ გოგებაშვილი (1911 წ. სახალხო გაზეთი № 292.), ქალთა პროფესიონალური სკოლა, მისივე სახლში მოთავსებული ქალთა პროფესიონალური სკოლა, რომელსაც ასობით მოუმზადებია ქართველი ღარიბი ქალები პირდაპირ ცხოვრებისათვის, პატიოსანი შრომისათვის და დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის“.

ეკატერინე გაბაშვილი ქალთა თანასწორობის იდეას ემსახურებოდა.



ეკატერინე გაბაშვილი.

მისი სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის 60 წლის შესრულების გამო.

1905 წ. კრებების თავისუფლება გამოცხადდა. ქართველმა ქალებმა მოინდომეს ქალთა საზოგადოების დაარსება, მაგრამ მოწინავემდეგებიც იყვნენ ცალკე ქალების საზოგადოების დაარსებისა. რამდენიმე კრება მოხდა ეკატერინეს სახლში. აქ გადაწყდა ქალთა საზოგადოების დაარსება.

1906 წ. ეკატერინეს ინიციატივით შევეცადეთ დაგვეარსებია „ქალთა თანასწორობის კავშირი“.

თუმცა ე. გაბაშვილმა 1911 წ. წერის ტუავი შეანელა მაგრამ მთლად არ გაჩუმებულა—თავისი ენერგიით და მხნეობით სხვებსაც ათხიზლებდა—მისი წაქეზებით და დახმარებით გამოვეცით ორი ნომერი ჟურნალი „ალმანახი“.

30 წელია მუდამ თვალყურს ვადევნებ ეკატერინეს მუშაობას საზოგადოებაში და ყოველთვის განცვიფრებაში მოვდიოდი მისი საზოგადო საქმისადმი ენერგიულ გატაცებით.

მახსოვს, ერთ საღამოს თოვლ-ჭყაპი მოდიოდა, სიცივე იყო. დანიშნული იყო ალმანახის სარედაქციო კრება დ. ახვლედიანისას. მე მივედი, არავინ დამიხვდა, სახლში გამოვბრუნდი, ვიფიქრე ცუდი ამინდია," არავინ მოვა-მეთქი. ვბედავ, მეორე გზის მხარეზე ვიღაცა მოხუცი ქალი გაჩქარებით მიდის, ეს იყო ე. გაბაშვილი. ჩემი გაკვირვება და სიხარული აუწერელი იყო.

— ყველა ამინდმა შეაშინა, თქვენ კი მობრძანდით ამ სიცივეში!

— ყოველ საქმეს სიყვარული უნდა უძღოდეს, —ბევრჯელ უთქვამს ეკატერინეს და, მართლაც, ყოველ მის საქმეს სიყვარული უძღოდა, ამიტომაც, რასაც ის ხელს მოჰკიდებდა, კეთილად თავდებოდა.

ეკატერინე არც ეხლანდელ დროს არის ჩამორჩენილი.

მთხოვა: ქალთა განყოფილებაში წ. მიყვანეო, მინდა გავეცნოო.

იქ, ეკატერინე დიდი სიხარულით მიიღეს. ეკატერინე მიუჯდა მაგიდას და ყველა მიმდინარე საქმეს გულდასმით გაეცნო.

გამგემ აჩვენა დიაგრამა, სადაც აღნიშნული იყო ქალთა განყოფილების მიღწევები.

ეკატერინე აღტაცებაში მოვიდა.

—შვილო, მიმართა მან გამგეს, მე ჩემ სიცოცხლეში ქალთა თანასწორობას ვემსახურებოდი და რადგან მოვესწარი ამას, დიდი მოხარული ვ-რ. მადლობა გადუხადა გამგეს და უსურვა წარმატება.

**ნინო ტყეშელაშვილი.**



აბაშის ქოხ-სამკითხველო და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი.



ახალი სახლი სურამის ულელტეხილზე ელექტროფიკაციაზე მომუშავეთათვის



რიონჰესი მუშაობის დასრულების სტადიაში

# ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური დრამა

## „ხატიჯე" პიესა კ. კალაძის. დადგმა: ვ. აბაშიძის.

არასდროს საბჭოთა დრამატურგია ისე ნაყოფიერი არ ყოფილა, როგორც დღეს. არ დარჩენილა, არც ერთი მწერალი, რომ პიესას არ სწერდეს. პიესების რიცხვი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ბრძოლის სხვა და სხვა საკითხებზე დღითი-დღე მრავლდება, მაგრამ საბჭოთა თეატრი მიუხედავათ ამისა, მაინც ერთგვარ გამოუვალ მდგომარეობაშია. თეატრების უმრავლესობა ვერ იძლევა მიღწევების ისეთ ფაქტებს რომელთაც შეეძლოთ დიადი რეკონსტრუქციის ეპოქის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება.

პიესა „როგორ"-ის შემდეგ „ხატიჯე" კ. კალაძის შემოქმედებაში უსათუოდ წინ. ვლაა. თუ „როგორ" მუშათა კლასის წარსული რევოლუციონური ბრძოლის ეპიზოდებს შეეხებოდა, „ხატიჯე" სოციალისტური მშენებლობის და ძველი ყოფა-ცხოვრების რღვევის იმ პროცესს ეხება, რაც ჩვენი სინამდვილის ყოველდღიურობის შინაარსს წარმოადგენს.

სოციალისტური მშენებლობის ფონზე აქ მოცემულია ბრძოლა საუკუნოებრივ უკულტურობასთან, ტრადიციასთან ჩვენი ქვეყნის ისეთ მხარეში, როგორც აჭარისტანის განაპირა სოფლებია.

იწყებს მუშაობას და პირველ სინათლეს აწვდის ამ მხარეს. ხატიჯე კვდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ აჭარელის ოჯახშიც მოხდა გარდატეხა. ასეთია ამ პიესის შინაარსი.

გზა-და-გზა პიესაში ნაჩვენებია საზოგადოების ხედმეტი, ნალექი ელემენტები, მთელი რიგი ტიპები. ბურჟუაზიულ საზოგადოების წრეში, სადაც მხოლოდ ფული ბატონობს,—განთავისუფლებული ქ-ლის მდგომარეობა და ახალი ქალის განთავისუფლების და ბრძოლის გზები.

კლასიური ბრძოლის გამწვავებისა და ძალთა გადაჯგუფების მომენტში, აშკარაა ყოველი თეატრი ვერ გაზდება მუშათა კლასის მიერ წარმოებული სოციალისტური ბრძოლის მონაწილე ძალა.

საბჭოთა თეატრების საკმაო რაოდენობა სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია. ის ფაქტი, რომ წელს მთელ რიგ თეატრებმა განაახლა კლასიკური რეპერტუარის ისეთი პიესები, როგორიცაა „ტარტიუფ" (ლენინგრადი) „ალდგომა" (მოსკოვი) „პეტრე I" (სამხატვრო თეატრი) „ბეატრიჩე" (ქუთაისი) და სხვა, მის დაბნეულობაზე და სხვა მზგავს რეციდივებზე ლაპარაკობს, რაც რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ამ თეატრებს არ სურდეთ მოწინაობა და ცხოვრების ტემპის გვერდით სიარული.



პიესა დაწერილია კალაძისათვის დ ა მ ა ხ ა სიათებელი ოსტატობით, გამოხომილი, ძუნწი სიტყვიერი მასალით, რაც პიესის ვითარებას რამე დენიმედ ზღუდავს.

დადგმის მხრივ „ხატიჯე" ძირითადში უნაკლოა, მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გაშვებული იქნეს სპექტაკლში შეტანილი ბალეტის გადაჭარბებული მომენტები, რასაც თავისი ნამდვილი დანიშნულების მაგიერ საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს.

სპექტაკლში გამ ყენებულია აგრეთვე სინათლისა და კინო სურათების ელემენტები.

შესრულებაში მთავარ ყურადღებას იქცევს აქტიორი უ. ჩხეიძე (გულ იგი ძველი ზნე-ჩვეულებით გაბოროტებული მოხუცის ტიპია. მეორე ცენტრალური ტიპი ამ პიესისა ხატიჯეა, რომელსაც ფრიად დამაჯერებლად ასრულებს ხ. ჰიჭინაძე. საეჭვო იმერელის (ბადულია) როლში კარგია კ. კვანტალიანი, ქორჟოლიანი (გელვასი) შ. ლამბაშიძე (ლენგო) და ჯემალის უსათუოდ რთულ როლში შ. ჯაფარიძე.

კარლო კალაძე, „ხატიჯე"-ს ავტორი; უშ. ჩხეიძე გულბაათის როლში; „ხატიჯე"-ს პირველი და მესამე აქტი; ხათუნა ჰიჭინაძე— ხატიჯეს როლში.

კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისა და კოლექტივიზაციის დიადი მოძრაობის მომენტში მთელი რიგი თეატრების მიერ დამკვრული ბრიგადების გაგზავნა სოფლად მეტად საყურადღებო ფაქტია, თუმცა ამ საქმეში ჩვენში ჯერ არც ერთ აკადემიურ თეატრს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

რაც შეეხება ორიგინალური და აქტუალური რეპერტუარის შერჩევის საქმეს, წელსაც გაბედული ნაბიჯები გადადგმული იქნა ქუთაისის სახელ. აკადემიური თეატრის მიერ, განსაკუთრებით პროლეტარული მწერლების პროლეტარული დრამატურგიის გამოყენების სახით, რომლის ერთ საუკეთესო მიღწევად ამ სეზონში პრ. მწერლის კ. კალაძის ახალი პიესა „ხატიჯეს" დადგმა უნდა ჩაითვალოს.

შენდება დიდი ელსადგური აჭარის მთებში, ისერება მთებისა და კლდეების გული გვირაბებითა და არხებით. გაცხოველებულ აღმშენებლობას ახალი ურთიერთობისა და ახალი ცხოვრების მოვლენები შეაქვს მთებში, სადაც შავბნელი ტრადიციების ბატონობა იმდენათ ძლიერია, რომ მასთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმეა. ამ ტრადიციების ჩაგვრის საგანი ქალია. პიესის მიზანიც სწორედ ის არის რომ აჩვენოს მტკივნეული მხარეები ჩადრის ქვეშ მონობის და ახალი დროის იდეების გავლენით ამ მონობის წინააღმდეგ აღძრული განწყობილებები, რომლის მახვ რპლათ ახალგაზრდა ქალი ხატიჯე ხდება, იგი საკუთარი მამის ხელით კვდება და სწორედ ისეთ დროს, როცა ელსადგური

პიესაში რეჟისორული პლანით შეტანილ ცირკისა და ესტრადის მომენტებს დისონანსი შეაქვს.

პიესა „ხატიჯე"-თი ამ თეატრმა თითქოს გამოასწორა ის სისუსტე, რომელიც ნაწილობრივ განიცადა ამ სეზონში. „ხატიჯე" უსათუოდ იდეოლოგიურად და მხატვრულად გამართლებული დადგმაა.

ალ. სულავა

# კოლექტივებმა საგაზაფხულო თესვა დაიწყეს



## დღეები სოფლად









ამ მთებ შუა გადაშლილია ველების უსაზღვროება, რომელსაც ტირიფონის ველს ეძახიან.

მისი ფართობი უდრის ოცდა ექვს ათას ჰექტარს.

ტირიფონა არის ქართლის გული. ქართლის იმედი. ქართლის ბეღელი.

მშვენიერია ეს მიდამო, როცა მოსავალი ზღვად გასკდება და აბიბინდება ჯეჯილი.

ნელქართან ერთად ირხევიან ტალღებად და მიიკეცებიან, იშლებიან, ღელავენ მზით მოოქროვილ ლაჟვარდის ქვეშით.

ტირიფონას ველი სწორი სამკუთხოვანი ფორმისაა. დაქანება სამხრეთით აქვს.

ოსეთის მთების გასწვრივ განათხარებია.

განათხარებზე ალაგ-ალაგ (სადაც თემშარას სჭრის) თეთრად შეღებილი ხიდებია.

ზოგან ცემენტის კედლებია ამოყვანილი.

განათხარები თანდათან მატულობს.

ეს მთავარი არხია.

არხი იწყება დიდი ლიახვიდან. მიიკლაკნება ასე თვალუწვდენელ ველის სიშორეზე

თერგვისის ქვეშით არხი პატარა ლიახვის ნაპირებს ხვდება.

პატარა ლიახვი ეხლა ამომშრალია. ამომშრალია მეჯუდაც.

ისინი მხოლოდ მაშინ ადიდდებიან, როცა მთათოვლები წამოვლენ ლანქერად.

მაშინ ღმუიან, ეხეთქებიან ნაპირებს, არხევენ მიწას, მოაქვთ ხერგები, წალეკავენ გზაში ყველაფერს.

ჩვენ ისევ მივდივართ.

არ სჩანს მზე, არ სჩანს მიწა, არ სჩანს ცა.

მხოლოდ თოვლის ბურია ირგვლივ.

ეტყობა ამ გზაზე დღეს კაცს არ გაუვლია. ნაკვალევი არ არის.

გზაც მოსასვლელია. თვრამეტი კილომეტრი და მერე კიდევ გზა ნაწრეთისკენ, ნადარბაზევისკენ.

ქიტესას მაინც ყოჩაღად უჭირავს თავი.

შორიდან თოვლის თეთრ უსაზღვროებიდან მოისმოდა გუგუნი, ქიტემ სმენა გაამახვილა.

მე ვხედავდი, თუ როგორ თრთოდა შუბლზე—წარბებშუა ცვილივით ჩამოკლაკნილი ლურჯი ძარღვი,

მე ვხედავდი: თუ როგორ ბრწყინავდა მისი სახე და თვალებში თანდათან როგორ ენთებოდა სიხარული ნაპერწკლებად.

ცხენებს აღვირები მაგრად დაუჭირა.

ჰკრა დეზები და ჩემთან მოაგდო პირდაპირ.

— აი!—შესძახა მან.

შუბლზე ჩამოწეული ქუდი ოდნავ აიწია და თვალები წინანდებურად ჯიუტად შემომაჩერდა.

— გესმის?!—მხარზე დამკრა ხელი.

აღვირები ძალზე დაიმოკლა. ცხენი ყალყზე დადგა. ისკუპა. შეაჩერა ისევ.

თითქოს ეს კაცი მხოლოდ სიხარულია.

სიხარულმა თუ იცის ასე უცებ ფრთების შესხმა.

— არა მარტო მე, არამედ მთელი ... მთელი გლეხობა!

აი, უკვე ყველაფერი ცხადი ...

— აი, არჩილ! მე რა მიხარია! ისინი სულ სხვანაირად ამბობდნენ, არაფერი არ იქნებაო, ყველაფერი სიცრუე და მოგონილიაო! მაგრამ ვხედავ, რომ გამართლდა და მიხარია!

— ვისზე ამბობ მაგას?!

— აი, იმათზე, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე საწინააღმდეგოს გაიძახოდნენ!

ეხლა დეე ნახონ საკუთარ თვალებით. დეე, შეეხონ საკუთარ ხელებით. ეხლა ხომ არ იტყვიან, რომ ყველაფერი ტყუილიაო!

— ქიტე, ქიტესა!

— ო, არჩილ შენ, რომ იცოდე როგორ ამიტაცა სიხარულით ამ გუგუნმა.

საოცარია პირდაპირ ეს კაცი.

მე მჯეროდა მისი გულწრფელი სიტყვები.

მე მჯეროდა მისი თვალების უჩვეულო აგზნება და სახის საამო ბრწყინვალება!

მე ამ კაცმა ისე გამიტაცა, რომ მომავალი მოთხრობის მთავარი გმირი იქნება უთუოდ.

და აი! გავიდა დრო. გუგუნში ბორბლების რახრახიც შეიჭრა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენთან მოგუგუნდა და ჩვენ წინ იდგა ტრაქტორი.

ტრაქტორისტი იყო ახალგაზრდა, შავგრემანი ჭაბუკი.

— ჰოი, შენ კი გენაცვალე!



გლეხები ეცნობიან კოლექტივიზაციის წესდებას.





სათესლე ხორბლის გასუფთავება კახეთის რაიონში.

მაგრამ ეხლა მათ გზაში მხოლოდ ქვები და კენჭებია.

დიდი ლიახვი კი ისევ მიდუდუნებს ჩამონგრეულ ნაპირებს, ისევ მიდის დაწმენდილი-აუმღვრევი.

და აი: არხით დიდი ლიახვიდან დაწყებული პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე ჩერდება.

ნაპირთან ცემენტის კედლებია ამოშენებული, აქ გუბდება წყალი და აქედან პატარა ლიახვის სიგანეზე გადებულ გვირაბით ადის მეორე ნაპირზე, საიდანაც იწყება ისევ განათხარები.

მართლაც რომ მშვენიერია!

განათხარებით დაქსელილია ტირიფონის ველი, ველი მოირწყვის და აბიბინდება ჯეჯილი **გულის გამახარებლად.**

სამი დღეა რაც ერთად დავდივართ და ის ასე არას დროს არ ყოფილა.

ცხენიც გრძნობდა მხედარის გულის ფეთქვას.

მაგრამ დაჭერილ აღვირებიდან თითქოს აწყვეტას ცდილობდა.

მწარედ ჩხრიალებდა ლაგამი კბილებში.

ცხენი თითქოს შეკავებული გაფრენაა.

ფრუტუნებს, ტორავს მიწას, ჰყრის თოვლს და თითქოს გაქცევას ლამობს.

— გესმის?!

მოუძახა ისევ ქიტესამ.

ცხენი ადგილზე შეტრიალდა. თავი შეიმაგრა.

— აი, იმ გუგუნს ველოდი რამდენი ხანია!

— როგორ?!

ჩამოხტა ცხენიდან. ახტა ტრაქტორზე და ტრაქტორისტს გადაეხვია, აკოცა.

— არ შეაჩერო სვლა! არ შეაჩერო გუგუნი! ესმოდეს ყველას!

თითქოს ჰკიოდენ ქიტესას თვალები.

ახრიალდენ ბორბლები ისევ და ტრაქტორი კვლავ წინანდებურად მიჰგუგუნებდა დუმილიან თეთრ სივრცეს.

გუგუნს გავყევით ჩვენც.

**არჩილ ჩაჩიბაია.**

# მ თ ი უ ლ ე თ ი

მთიულეთი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელიც შავსა და თეთრ არაგვის ხეობაშია მოთავსებული, მას უჭირავს დაახლოებით 600 კილომეტრი სიბრტყე და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ის შიდა ქართლის მთიანი ნაწილია. მთიულეთი დაღარულია მრავალ ხეობებით: თეთრი და შავი არაგვის ხეობა, ხანდოს, ჭართალის, ბაკურჩევის, ხადას და სხვა. მათ შორის მთავარია თეთრი (მთიულეთის) და შავი (გუდამაყრის) არაგვის ხეობა. თეთრი არაგვი გამოდის ქვემო იურას თიხოვან ფილაქნებში და ქვა-ქვიშებში, რომელიც წყალს მოთეთრო ფერს აძლევს და ამ არაგვსაც თეთრი არაგვი ეწოდება. თეთრი არაგვის ამ ვიწრო ხევში მოიკლაკნება საქართველოს სამხედრო გზა. არაგვის ქედი აქ ვაკდება და ჰქმნის ჯვრის გადასავალს, რომლის სიმაღლე 2.358 მეტრს უდრის ზღვის დონიდან. ჯვრის ეს უღელტეხილი ხევისა და მთიულეთის საზღვარია, რომლის გადალახვით მგზავრი თერგის ხეობაში ეშვება. შავი არაგვი გამომდინარეობს გუდამაყრის ქედიდან, რომელიც შესდგება ბორსაშიკისა და ბოსლის წყლის შენაკადისაგან. შავი არაგვის სათავის პალეოზოური ჯიქების შავი ფილაქნები და ქვაქვიშები ადვილად იშლებიან და თვით წყალსაც მოშაო ფერს აძლევენ და ამ არაგვსაც შავი არაგვი ეწოდება. ეს შავი და თეთრი არაგვი ერთდებიან ფასანაურში, სადაც ძველად სადარაჯო ციხე ყოფილა აღმართული.

ადმინისტრატიულად მთიულეთი შედის დუშეთის რაიონში და თბილისის ოლქში. ის გაყოფილია სამ სასოფლო საბჭოდ: მლეთის (ცენტრი ქვეშეთი) ფასანაურის (ცენტრი ფასანაური) და გუდამაყრის (ცენტრი სოფ. კიტოხი). 1926 წ. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით მთიულეთში ირიცხება: 1,809 კომლი და 10.483 სული ორივე სქესის მოსახლეობა.

ეკონომიურად მთიულეთი ღარიბი და ჩამორჩენილი კუთხეა. მისი ბუნებრივი სიმდიდრენი ჯერ კიდევ ხელუხლებელია და ღარიბ მთიულეთისათვის გამოუყენებელი. მაგრამ მთიულეთის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა საქარ. სამხედრო გზაზე თავის ლამაზ ბუნებით შეზავებული მთის ჰავით და მინერალური წყაროებით მას უქადის ჩქარა გახდეს ტურისტებისა და ალპინისტების საყვარელ კუთხედ. დღეს კი ამ მშვენიერ ბუნების წიაღში თქვენ ხედავთ სიღარიბეს და ეკონომიურ სიძნელეებს. ეს გარემოება აიხსნება არა მთიულების სიზარმაცით და ბუნების სიმწირით, არამედ ამის მთავარი მიზეზია მეურნეობის ჩამორჩენილობა და შრომის იარაღისა და დისციპლინის პრიმიტიულობა. მთიულები უმთავრესად მისდევენ **მიწადმოქმედებას და მეცხვარეობას.** საყანედ ვარგისი მიწა აქ ერთობ მცირეა. სივრცის უდიდესი ნაწილი ტყეებსა და საძოვარ იალაღებს უჭირავს. გლეხობა მიწის დიდ სივიწროვეს განიცდის. ყველაზე შეძლებულ გლეხად ითვლება ის, ვისაც 12 დღიურამდე სახნავი მიწა აბადია. მიწას ამუშავებენ ფშაური ან ქართული გუთნით. იქ სადაც ხარი და გუთანი არ უდგება გლეხი ქარჩით ქარჩავს და თან ასე ღიღინებს.

> გამსის არ ყოფნის ადგილი,
> ქარჩებით კლდესა სთხრიანა,
> ზოგი რიყეში ჩაკვდება,
> ხელით ქვას გადაყრიანა.
> თუ რამ იშოვეს დასთესენ
> წესდებას აქა შლიანო,
> დღე ღამეს გაასწორებენ,
> სუ მუდამ სისხლსა ღვრიანო,
> ზოგი ისე სჭამს ლუკმასა,
> ზოგს კი ისივა შიანო.

სთესენ 30% ხორბალს (გაზაფხულის პური), 60% ქერს და 10% ჭვავს.

აქაურ გლეხს პირნახული ხით თვემდე ძლივს ჰყოფნის. შემდეგ ის პურეულს, განსაკუთრებით სიმინდს, ჩრდილოეთიდან ეზიდება და უმთავრესად მჭადით იკვებება.

მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი აქ **მესაქონლეობაა**, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა. ზაფხულის საძოვრებით მთიულეთი მდიდარია, განსაკუთრებით გუდამაყრის ხეობა მაგრამ ზამთრის საძოვრებისა და საკვების უქონლობის გამო შემოდგომით ცხვრის ფარას ყიზლარში ერეკებიან, სადაც ზამთრის ფარეხებია გამართული. აქაური ცხვარი მდარე ღირსების მატყლს იძლევა. ცხვარი მეწველიცაა და ამზადებენ პრიმიტიულ წესებით დაბალ ღირსების ყველსა და ერბოს. მეურნეობის ამ დარგების გაუმჯობესების მიზნით აქ უკვე არსებობენ რამდენიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაციები, მაგალითად, მეცხვარეთა ამხ-ბა „თერგარაგვის ხევი", „მთიულეთის მერძევეთა ნადის ამხ-ბა" „ფასანაურ-მლეთის აგრო პუნქტი" და სხვა. მათი მიზანია მეურნეთა კოოპერატიული დაჯგუფება და მათ შორის სამეურნეო ცოდნისა და ტექნიკის გავრცელება.



**მთიულეთის სოფელი**

მთიულების საზოგადოებრივი ყოფნის განვითარება თემობრივ წყობილებას არ გასცილებია, რომლებიც მუდამ მედგრად ებრძოდნენ არაგვის ერისთავების მთიულეთში გაბატონებას. ამ გმირულ ბრძოლის წყალობით მთიულებმა თავი დააღწიეს არაგვის ერისთავების ბატონყმურ უღელს:

> „მთიულეთია ბატონო,
> ვერ იზამთ ქვეითობასა!
> დაგიწვრილდებათ კისერი,
> ვერ იზამთ ერისთობასა"-ო.

დღეს თემურ წყობილების ნაშთები: სისხლის აღება, შურისძიება, ურვათი და სხვა, აქ უკვე სამუდამოდ გამქრალია, მაგრამ ცრუმორწმუნოებისა და სხვა მავნე ადათ-ჩვევებისაგან ხალხი საბოლოოდ ჯერ განთავისუფლებული არ არის.

გრძელი ქორწილები და დაუსრულებელი ქელეხი ჯერ კიდევ მოწონებაშია, რომელიც ნთქავს სარჩოს უდიდეს ნაწილს და მოსახლეობას აღატაკებს, მაგრამ ყველაზე მძიმე ჩვეულება რომელიც მთიულეთში და განსაკუთრებით გუდამაყარში მძვინვარებს-ეს **ბოსლობაა.** თვიურიან და მშობიარე ქალს გუდამაყრელები **უწმინდურად** სთვლიან და მას ამ მომენტში ცალკე **ბოსელში** ათავსებენ, რადგანაც მათი რწმენით: „ანგელოსი სახლში არ დადგება და ხატები გაჯავრდებიან"-ო. მთიული ქალი თვიურის მოსახდელად აქ განმარტოებით ხუთიოდე დღე უნდა იჯდეს და მას როგორც უწმინდურს არავინ მიეკარება. სასმელსაჭმელსაც შორიდან აწვდიან. ის ხის გამომწყვდეული და ხელსაქმობს. მშობიარე კი ამ ბოსელში შვიდი კვირა უნდა იჯდეს. ღებმძიმე ქალმა მარტომ, სხვის დაუხმარებლივ უნდა შობოს, ბავშვიც თვითონვე აიყვანოს და სანამ მღვდელი არ განათლავს ბოსლიდან ვერ გამოვა. მშობიარობის ერთი კვირის შემდეგ ბოსლის კარებს მღვდელი მოადგება, მშობიარე კარებთან მივა და ხელს გამოუშვერს.

მშობიარეს მღვდელი იაზმის წყლით ასხურებს და ამის შემდეგ ქალს შეუძლია ბოსლიდან გამოსვლა. მდინარე წყალზე ბანაობა, გასუფთავება და საბოსლო საქმეების შესრულება. მაგრამ შვიდ კვირამდე ქალი მაინც ბოსელში რჩება და მას არავინ ეკარება. თუ მშობიარე ბოსელში კვდება, რაც აქ იშვიათი შემთხვევა არ არის, მაშინ მას სოფლის სასაფლაოზე არ ასაფლავებენ, როგორც უწმინდურს შეგზავნიან ბოსელში ორ მოხუცს, რომლებიც მას გასუდრავენ და სადმე შორს, სადაც ხატისა და ადამიანი თვალი არ მისწვდება, იქ სამარეს გაუთხრიან და დაასაფლავებენ. მისი ცხედარს მშობლები და ქმარ-შვილები არ ეკარებიან. ჭირისუფალი სახლში თავს იყრის და მიცვალებულს ნიშანზე ტირიან.

მშვიდობიანად გადარჩენილ მშობიარეს კი შვიდი კვირის გასვლისას მღვდელი განათლავს და ის ბავშვით სადგომ სახლში ბრუნდება. ეს მთიულური ბოსელი იგივეა რაც ხევსურული სამრეველო და საჩეხი. ბოსლობის ეს ბარბაროსული წესები დედათა სქესს აქ მეტად მძიმე პირობებში აყენებს, რომელიც განუსაზღვრელ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვასთან ხშირად მისი მსხვერპლიც ხდება. კაცობრიობის პროგრესიულმა ნაწილმა ბოსლობის ეს მძიმე და დამამცირებელი პერიოდი კარგა ხანია განვლო და ჩვენში კი სამწუხაროდ ამ გამანადგურებელ ბოსლობის წესებს ჯერ კიდევ ბოლო არ მოღებია. საჭიროა სამშობიაროების აქ გახსნით ამ დრო-

მოქმედ ბოსლობის მოსპობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ამ მშვენიერ კუთხის მოსახლეობას გადაგვარება მოელის. ფასანაურის თემსაბჭოს ხუთწლიან გეგმაში უკვე შეტანილია გუდამაყრის ხეობაში, სადაც ბოსლობა მძვინვარებს, სოფ. კიტოხში, 3-5 საწოლიანი სამშობიაროს გახსნა.

სწავლა-განათლების მხრივ ეს კუთხე მეტად ჩამორჩენილია. მთელს მთიულეთში გახსნილია შვიდიოდე სკოლა და ისიც დაწყებითი ჯგუფისა (I და II ჯგ.). მხოლოდ ფასანაურში ა ერთად ერთი სრული კომპლექტიანი შრომის სკოლა და ერთიც სოფლის ახალგაზრდობის სკოლა. სკოლების ამ სიმცირით აიხსნება წერა-კითხვის მცოდნეობის მეტად დაბალი დონე. ამ მხრივ მოსახლეობა ასეთ სურათს იძლევა: 5,037 მამაკაცში წერა-კითხვის მცოდნეა 757, 5.416 დედაკაცში—275.

წერა-კითხვის ამ დაბალ დონის ასაწევად ტ სწავლა-განათლების ხაზით შესატანად თემსაბჭოს ხუთწლიან გეგმით განზრახული აქვს რამდენიმე პირველდაწყებითი სკოლების გახსნა და

ნიცდის დღევანდელ დიდ ეკონომიურ-მოვლენების სიმძაფრეს და საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის შედეგებს. ყველაფერი ეს მთიულის გულში ერთგვარ გამოძახილს პოულობს, რომლის გამოთქმა მას მხოლოდ ლექსად ემარჯვება. მაგალითად, მსოფლიო დიდი ომი მას ასე გაულექსია:

მზემ დაიხურა პირბადე,
მთვარემ ჩაიცვა შავია,
ცაზე ატირდა მესკვლევი,
დაბლა ჩამოდის ნამია,
ომი აქვს გერმანიასა,
თურქმა შეჰყარა ჯარია,
ეგ რომ ნიკალა გაიგო,
წელზე შაიბა ხმალია,
ადგა მოკრ ბა სალდათი,
არ უწევს წვიმა წყალია;
გარეკა გრანიცებზედა,
ყველგან შაუკრა გზანია,
თურქმა რომ ომი ატება,
დაიძრა მთა და ბარია.

თვითანვე იმას იძახდა:
მე გავხდი ჭკვითა მცდარიო,
დავწოთ დავდაგოთ ნიკოლა
არარის შესაბრალიო,
უნდა ციხეში შავაგდოთ,
გამოუჯაროთ კარიო
კინლამ ლალატით გაყიდა,
მთელი რუსეთის ჯარიო,
სულ ნემეცს გაატანინა,
რაც რო ჩვენ მოსახმარიო,
მოიხსენიეთ ის პირი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარიო,
წინ უდგას ოქროს ეტლები,
ბზინათობს კელაპტარიო,
მათი გვირგვინის ტოტები,
სულ შავად ჩამოსხმარიო.

თვით თებერვლის პირველი რევოლიუციის გადატრიალება მთიულმა ასე იგრძნო:

ახალი დრო მოგვივიდა,
ძლივს იქნება ორი წელი,
სუ ახალზე შეგვეცვალა,
ადათი და ძველი წესი,
თუმც რო კი არა დაგვაკლდა,
მათრახები მოგვხვდა ბევრი,



მთიული ქალი სამუშაოზე. კალოზე ეზიდება ძნას



არყის გამოხდა მთიულეთში

ერთიც სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დაარსება მლეთში. მთიულეთი დღეს უკვე გამოღვიძებულია. ის კარგად გრძნობს სწავლის მნიშვნელობას, მაგრამ ამას ის ჯერ კიდევ მოკლებულია.

ამის შესახებ, აი, როგორ მოსთქვამს სწავლას მოწყურებული მთიული:

ილოშ სთქვა ბეკურაშვილმა:
უსწავლ ხალხ დატანჯულია,
ჩვენს მთაურობას მიუწეროთ,
აქეთ მოგვაპყროს ყურია,
თუ კი სწავლა არ მექნება
მაშ ქუდი რისთვის მხურია?
გთხოვთ, ეს, მცირე წაწერა,
რომ იყოს დანახულია,
ჩემი გონებაც გაიხსნას
ეს დღემდინ დამარხულია,
ნეტავი სწავლა კი მომცა
მაინც არ მოგვცდის პურია,
მე თვითონ პატარა გლეხი
დიდათ ვარ მონატრულია.

(ლექსი ილიკო პატაშურის ნინიასძისა სოფ. ხევშა 20/VIII-1929 წ.).

ამასთანავე საყურადღებოა, რომ ეს კულტურულად ჩამორჩენილი კუთხე მძლავრად გა-

თოფი ჰქვს ბოლო ამოდის,
ტყვიას არა აქვს ჩქამია,
მინდვრიდან მოდის თოფის ხმა,
ულავდა ზ რბაზანია,
ბევრი ვაჟკაცი გადიქცა,
ცხელ ტყვიისაგან მთვრალია,
იძახის მამეშველენით,
დამალევინეთ წყალია;
დაჭ-ილს არა ყავ პატრონი,
მოუსვრს ღვინო ძმარი,

ამ ომს რუსეთის დიდი რევოლიუცია და მეფის ტახტის დამხობა მოჰყვა და მთიულს ესეც ასე გაულექსია:

მარტში რო წვიმა დაიწო,
მინდვრად შეტყო მწვანეო,
ნიკოლაი რო ძირს დაცეს,
პოლკში დარეკე'ა ზარია,
მაშინ ავარეს ნიკოლას,
ლენტი და ოქროს ჯვარიო,
ფეხში უყრიდენ ბორკილსა,
შვიდი გირვანქის ცალიო,
სიტყვა ამოთქო ნიკოლ მ,
ორთქლად ამოყვა ალი-,
ან მომაცალეთ ბორკილი,
ან ხმლით მომჭერით თავიო,

ძალით ნამუსი აგვხადეს,
ქალი მყავს, თუ დედაბერი,
მაგრამ ძმობამ და ერთობამ,
დაგვავიწყა ყველაფერი,
უმ.დურს არჟი გაუშვებს
მიწა ჩვენი მარჩენელი,
მექთად ციდან აღარ უყრის
ქადა-ნაზუქს გამჩენელი,
მოუ-ავმა და ჩარ ებმა
ლალაზე აილონ ხელი.
გლეხი წელში გაიმალა,
ნელად ულილინებს ყელი,
უჯავრილად მიიტანა
ტყიდან შეშა, ფიჩხი, წნელი,
ბატონს ცოლი ეუბნება:
ვინც ერთობა მოიგონა
გამოსძვრება ორივ თვალი
აი, სამზარიც მოგართვი:
ლობიო და ცივი წყალი.

ოქტომბრის რევოლიუციაზე მთიული ასე მღერის:

ყური დაუგდეთ ილიკოს
რისაგნის მოუბარია?
დრო არის იმისთანაი,
გუნება მუდამ მჭარეა.
ჩვენა ვართ პროლეტარები,
ფხიზლად გვიჭირავს თავია,

— ქვარა ხომ არ გაშიგაცურდა.
ლონგინოზმა დაავლო ხელი კარდონს და გარედ გამოვარდა. სად მიდიოდა?
— ჩემი პროექტი აღმასკომის თავმჯდომარეს უნდა გავაცნო...
ბუტბუტებდა გზადაგზა.
მხოლოდ შუა გზაზე ერთმა მეზობელმა შეაჩერა:
— ლონგინოზ, თქვენს სახლს ცეცხლი ხომ არ გაუჩნდა, საცვლების ამარა სად მირბიხართ?
ლონგინოზი იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო და ტანისამოსი ჩაეცვა.

—:—

**ორღობეში სწყდებოდა უდიდესი საკითხი**

— ბესარიონ! ბესარიონ! დაბის განაპირა ორღობეში ლონგინოზმა შეაჩერა აღმასკომის თავმჯდომარე.
— ევრიკა! ევრიკა! ყვიროდა და თან ბიბლიურ გმირივით ხელებს ცისკენ იშვერდა. თავმჯდომარე გაკვირვებული შესცქეროდა.
— რას ამბობ? რის ევრიკა?
— ე. ი. გავიშველე! აღმომჩენი მარტო არხიმედი არ გვგონოს—აი, ჩვენს დაბაშიაც შეიძლება ბუნებრივი სიმდიდრე გამოვიყენოთ!
თავმჯდომარეს საქმეზე მიეჩქარებოდა და გზა განაგრძო. ლონგინოზმა კალთაზე ხელი სტაცა.
— მოიცა! სად მიდიხარ?
— სასწრაფო საქმე მაქვს...
— ამაზე სასწრაფო საქმე შენ არ გექნება. ცხოვრებას გამოხმაურება სჭირდება.... შენ არ გაქვს ტემპი! არ გაქვს გაქანება!
ამოიღო უბიდან გაზეთი და წაუკითხა წერილი, სადაც ზერეთის პარტიულს თუ უპარტიოს ტყავს აძრობდნენ და ბოლოს დასძენდნენ: „ისე ჩამორჩენილი, როგორც ზერეთის რაიონია, არც ხევსურეთია და არც მთიულეთი! ზერეთში ყველანი სალათას ძილს მისცემიან!!!"
— გესმის, რას სწერენ? ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რომ არ გვძინავს. რით? აი ჩემი პროექტი!
კარდონზე დახატულს პროექტს უჩვენებდა, და თან შეუსვენებლივ ელაპარაკებოდა...
— ყველგან ხდება ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია, ტრაქტორიზაცია, კოლექტივიზაცია! ჩვენ რა ნაკლები ხალხი ვართ, რომ სხვებს ჩამოვრჩეთ? აღზდექ ძილისაგან, აღზდექ! საჭიროა ტემპი და გაქანება.
თავმჯდომარეს სიტყვა „გაქანება" მეტად ღიმილს ჰგვრიდა, რადგან ლონგინოზმა ბოლო დროს ძალიან ამოიჩემა!
— მერე, ვინ არის მაგის წინააღმდეგი? უთხრა თავმჯდომარემ.
— მოდა, წინააღმდეგი რომ არ ხარ, მომისმინე: ჩვენ უნდა ავაშენოთ სამი ქარხანა!
— სამი?
—სამი! ცენტრს არა თუ დავეწიოთ, უნდა გავუსწროთ კიდეც!
— რატომ სამი? ჯერ ერთი იყოს! სიცილით უთხრა ბესარიონმა!
— არა! ერთში ჩემი გეგმა ვერ დაეტევა!
ამის გარდა, სხვა რომელიმე სოფელი სამს ქარხანას ააშენებს, ეხლა ისეთი შეჯიბრებაა და ჩვენ შევრცხვებით.
ბესარიონმა გულიანად გადაიხარხარა. ლონგინოზმა შუბლშეჭმუხნით შეხედა.
— შენ მართლა კომუნისტი ხარ, თუ პარტიას ატყუებ? მე შენ გეუბნები, რომ უნდა წავიდეთ გაჩაღებული ტემპით ინდუსტრიალიზაციის გზით და შენ კი ხარხარებ!? მე უპარტიო და ყოფილი ჯანდაბა.... ვცდილობ თქვენი „ხაზი გავატარო" და შენ კი...
— ჩემო ლონგინოზ, თხამ რომ ნეკერი ნახა და სახტომი კი არ გაზომა, შენც ისე მოგდის! უცბად სამი ქარხანა, რით? რა საშუალებით?
ლონგინოზმა უბიდან ამოაღო სხვა ქაღალდები.
— აი, დაწვრილებით აქ სწერია: რით და რა საშუალებით.

**ლონგინოზის ახალი პროექტი**

რაში მდგომარეობდა ეს პროექტი?
მიყრუებულ ზერეთში უნდა გაშენებულიყო „ერთბაად" სამი ქარხანა. ფქვილი საჭირო იყო—მაშასადამე საჭირო იყო ისეთი წისქვილი, რომელიც მთელს მაზრას გასწვდებოდა. ზეთი საჭირო იყო, მაშასადამე საჭირო ზეთის ქარხანაც.
ხალხს ჩაცმა-დახურვა სჭირდებოდა, მაშასადამე საქსოვი ქარხანაც აუცილებელი იყო.
და ყველაფერს ამას მოძრაობაში მოიყვანდა „ბუნებრივი სიმდიდრე" ზერეთის მდინარე.
— მდინარე!
რომელიც უსარგებლოდ მიმდინარეობდა და მხოლოდ ადამიანს მისთვის კალაპოტი უნდა შეეცვალნა, რომ უცბად სამი ქარხანა აებრუნებინა.
თავმჯდომარემ უგდო ყური, ველარ მოითმინა და ჰკითხა:
— ეს ყველა კარგი, მაგრამ პატარა თანხა მაინც ხომ არის საჭირო, რომ მასალა შევიძინოთ, მუშებს ხელფასი მივცეთ?
— საქმე მოწადინეობაა! მოწადინეობა ყველაფერს გააჩენს! რიყეზე ქვა ყრია, ტყეში ხე დგას, მიწა ჩვენია, ოსტატები და ხელოსნები ჩვენს არტელში აუარებელი მოიპოვება. მაშასადამე ყველაფერს ამას თავის გამოხმა სჭირდება და მერე შინაგანი ტემპი და გაქანება!
— გეთანხმები, მაგრამ, მოდი, ეს შენი პროექტი დასამტკიცებლად ცენტრს წარვუდგინოთ!
ლონგინოზი შეხტა და შემოტრიალდა:
— ვანა ცენტრი ასეთს საქვეყნო საქმეს აგიკრძალავს? პირიქით, ცენტრი შენ უნდა ფაქტის წინაშე დააყენო, რომ მეორედ გაზეთებში გიწერონ: „სალათას ძილს მისცემიანო!" როცა ყველაფერს ამას დავამთავრებთ და ცენტრიდან პასუხისმგებელ ამხანაგებს მოვიწვევთ, გაკვირვებულებმა პირი უნდა დააღონ. საზეიმო გახსნის დღეს შენ ტრიბუნაზე გადმოსდგები და ასე იტყვი:
— აბა, ვის სძინავს სალათას ძილით? აი, შეხედეთ, რა შეუძლიან ზერეთის პროლეტარიატს და მის მშრომელ გლეხკაცობას! ნამდვილად კი მე და შენ ვიქნებით ამშენებლები!
— კარგი, კარგი! დაეთანხმა ბესარიონი; მხოლოდ ჩვენს ადგილობრივ საბჭოს მაინც გავაცნოთ და თუ იმათ დაგვიდასტურეს, მერე თუნდა ქვა მაკოდინე! შენი აზრი მომწონს.

**ურწმუნოებს ლონგინოზი რისხვად ევლინება**

იმავ საღამოს მოწვეულ იქნა საბჭო. მომხსენებელი იყო ლონგინოზ ტურაბელი.
იშვიათად თუ სადმე ნახავდით ასე ილუსტრაციებით და გატაცებით მოლაპარაკეს.
რასაკვირველია, საბჭოს წევრებში იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც სხვადასხვა კითხვებს აძლევდნენ, მაგრამ ლონგინოზის ფანტაზია ყველას სჭარბობდა და ისეთ კბილის მოსაჭრელად უპასუხებდა, რომ შემკითხველი შერცხვენილი და წყალგადასხმული ჩუმდებოდა.
ლონგინოზმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:
— ჩვენ ჩვენი შეძლების საშუალებით ავაშენებთ სამ თვეში სამს ქარხანას. წისქვილს, ზეთის სახდელს და საქსოვს! ბევრი იყვებიან, საიდან და როგორაო? აი, როგორ? ჯერ უნდა ავაშენოთ წისქვილი! ეს იოლი საქმეა. წისქვილი მოგვცემს შემოსავალს დღეში ათას თუმანს, თვეში კი ოცდა ათი ათასს! მაშასადამე ერთი თვის შემოსავალი ყველა ხარჯებს ისტუმრებს. მეორე თვის შემოსავალი ააშენებს ზეთის სახდელს და საქსოვს. მესამე თვეს ნაღდი შემოსავალი დაგვრჩება სამოცი ათასი, რომლის შემოსავლიდან შეგვიძლიან მთელს მაზრას უფასო ელექტრონით განათება მივცეთ. ამის შემდეგ შემოსავალი მოდის და მოდის, ასე, რომ შემდეგ შეგვიძლიან არა თუ ჩვენი აპარატი შევინახოთ და ხალხი დაბეგვრიდან გავანთავისუფლოთ, ამ ქარხნების შემოსავლით ცენტრსაც დავეხმარებით! აი, რა შეგვიძლიან! აი, რა დიდი საქმეა, ოღონდ იყოს სურვილი და მოწადინეობა!
დაათავა ლონგინოზმა და ოფლი მოიწმინდა. ყველანი გულდასმით უსმენდნენ, ერთის გარდა, რომელმაც უადგილო ალაგას [illegible]:
— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფული?
და თქვენ ვერ წარმოიდგენთ რისხვას და წყრომას, ვერც ასეთს მეხთა ტეხას, როგორიც იმ დროს ლონგინოზმა ყველას თავს დაატეხა:
— ფული!? ფული ჩვენი შრომაა! მოიყვანე ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ფულებს არ უშმით! აქ საჭირო არ არის არც რყევა და და არც ნების მოდუნება!.. არ გრცხვენიათ? აი წაიკითხეთ!... და გადაშალა გაზეთებს.
აბა, ვის რა ეთქმოდა ამის წინააღმდეგ? კამათის შემდეგ ლონგინოზი აირჩიეს თავის გეგმის შესასრულებლად, და... ლონგინოზი სიხარულისაგან გაიბერა...
თვალებზე თითქმის ცრემლი ადგებოდა და მზად იყო ყველანი გადაეკოცნა...

**ლონგინოზმა შეხძრა მიძინებული ზერეთი**

მეორე დღესვე შეუდგა საქმეს. შეძრა მთელი ზერეთი, ერთთან არ მივიდა და ვის რა ენაზე გასაგებად არ ელაპარაკა. ჯერ კოლექტივი დაითანხმა, რომ სამუშაოდ გამოსულიყვნენ, შემდეგ კოლექტივის გარეშე დარჩენილები... ბევრს თავისი თეორია გაუმეორა, და ბოლოს ხუთასი კაცი, როგორც ერთი ადამიანი, ისე დატრიალდა. აშენებდნენ ჯერ წისქვილს, რომლის შემოსავლის შემდეგ სხვა ქარხნები უნდა აეშენებინა.
ბევრჯერ გამოსვლიათ უკმაყოფილება: ხან სადილი არ ჰქონიათ, ხან სათანადო მასალა, მაგრამ ლონგინოზს ყველანი სიტყვით მოუნადირებია და საქმე არ შეფერხებულა.

**ენუქას ანდერძის მსგავსი დაპირებანი**

ითხრებოდა არხი. შენდებოდა წისქვილი, რომელიც მთელს მაზრას დააკმაყოფილებდა.
ლონგინოზი ამდენ მუშა ხალხში ტრიალებდა ციბრუტივით და ყველას იმედს აძლევდა:
— აი, ავაშენებთ წისქვილს და ჩვენი ზეიმი მაშინ იქნება,—იმედს აძლევდა წისქვილზე მომუშავეებს და ყველას თავის შესაფერს თანამდებობას სთავაზობდა—აი, ამ ივანეს დირექტორის ოდენა თანამდებობას მივცემ და თვეში ოცდაათი თუმანი ჯამაგირი ექნება! აი, ამ პეტრეს კი, რომელიც 80 წელს მიღწეულია, პენსიას დაუნიშნავ, დაჯდეს, ჭამოს, პეტრეს კი შრომის გმირად გამოვაცხადებინებ!
ხალხო, თქვენ იცით, რა საშველიშველო საქმეს აკეთებთ? ო, მიხო, მიხო! ყოჩაღ! შენ თუ ჩემს თანაშემწედ არ დაგნიშნე, მაშ მე ლონგინოზ ტურაბელი არ ვყოფილვარ! არც ამ მოსეს დავტოვებ უყურადღებოდ! სასწორზე ამწონავად დავაყენებ: იცით, დღეში ორი ათასი ფუთი ხორბალი უნდა აიწონოს, თვეში კი 60 ათასი! ამდენს ჩვენი ქარხანა დაფქვავს...
წისქვილის შენობის მეორე მხარეს იდგნენ სოფლის მაყურებელი ხალხი; მათ შორის იყო ფიდო დათუკაძე და ისეთს სიტყვებს იძახოდა, რომ ლონგინოზს გულზე ჰხეთქავდა.
— ლევინო არსაი იყო, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო... ენახაკ, როგორ ჩაგცხოთ მაგ ქარაიცმა! ხალხო, გამიგია ერთი აქაი: მოხისელები, თუ ბოდბელები წისქვილს აშენებდნენ, თითქმის დაათავეს და რძალმა სადილად ლობიო მიუტანათ. ოთხმოცი რომ გამოძღნენ, წყალი მოსწყურდათ და რძალს უსაყვედურეს: რატომ წყალი არ წამოგვიღეო. რძალმა უთხრა: წისქვილს აშენებთ და წყალი არა გაქვთო? მაშინ მოეგონენ გონს. თურმე წისქვილი მთაზე უშენებიათ, რძალს ამაზე წყენა შემოუქნიეს, სოლებითაც გაქვდნეს, ჰქუა არსად გაექცესო და ქალი მოჰკლეს.
ამ სიტყვებს ყური მოჰკრა ლონგინოზის ერთგულმა მომხრემ, სახელად შაქრომ და გაბრაზებულმა ფიდოს შეუტია:
— შენ აქ კონტრას ნუ ჰქადაგებ თორემ...
და ცული მოუღერა. შეიქნა ჩხუბი და მიწევ-მოწევა.
დაჰქროდა, რომ სხვები შუაში არ ჩამდგარიყვნენ და არ გაეშველებინათ.

—:—

**წისქვილი უწყლოდ. ლონგინოზს თავის გეგმით წყალი აღმართზე უნდა აეყვანა**

ცენტრმა გაიგო, ზერეთში რაღაცას „ჩხირკედელაობენო", და უცბად სამს ქარხანას აშენებენო. გაკვირვებულნი იყვნენ, რომ არც სპეცები მოითხოვეს და არც თანხა.
სპეცებისაგან შემდგარი კომისია მოვიდა ზერეთში.
უკვე წისქვილის შენობა დაემთავრებინათ —აუარებელი ხარჯი გაეწიათ.

კომისიამ შენობა და მისი მოწყობილობა ვერ დაიწუნა. მაგრამ როდესაც წყლის თარაზო გაზომეს მდინარე წისქვილთან შედარებით 25 მეტრით დაბლა აღმოჩნდა. წისქვილს წყალი არ უდგებოდა და წყალი აღმართზე უნდა ასულიყო?

ეს ხმა ხალხში გავარდა და იძახოდნენ:

— წისქვილი უწყლოდ! წისქვილი მთაზე! ლონგინოზი გარეტიანებული იდგა და ვერაფერი მოესაზრებინა.

ფიდო დათუკიძე ცეცხლზე ნავთს ასხავდა, და ხითხითებდა.

ლონგინოზი ნახევრად მკვდარი იყო, და ეგერო ის ჰკლავდა, რომ მისი დაუძინებელი მტერი ფიდო მასზე იცინოდა!

აღელვებული ხალხი ლონგინოზს მიესია. უნდოდათ არხში ჩაეგდოთ და ჩაექვავებინათ, მაგრამ კომისიის წევრმა, ერთმა ტეხნიკმა იხსნა სიკვდილისაგან. მან აღელვებულ ხალხს უთხრა:

— საქმე შეიძლება გამოსწორდეს და ამის საშუალება ორნაირია. ერთი ის, რომ შეიძლება არხი შვიდი ვერსის მანძილზე წამოეყვანოთ და მაშინ წისქვილს წყალი მიუდგება. და მეორეც თუ მალე გინდათ და არც ბევრი დაგეხარჯოთ, შეიძლება წისქვილი ელექტრონით ამუშავდესო.

ლონგინოზი გადარჩა. კომისიის წევრები ხალხს გამოემშვიდობნენ და აღმასკომს ასეთი ამბავი დაუტოვეს: თბილისში დელეგატები გამოგზავნეთ და ამ დელეგატებს ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენთო.

ლონგინოზი წელში გასწორდა და ხმა ამოიღო.

— რა მოხდა, ხალხო! სადაც არაფერი კეთდება, იქ არაფერიც ფუჭდება! მაგრამ რომ არც არაფერი გაფუჭებულა? ხომ გაიგეთ, რომ ელექტრონით ამუშავება შეიძლებაო — ჩვენც ელექტრონით ავამუშავოთ! ეგ სულ იაფია! აი, ერთხელ ჩემმა ნაცნობმა თბილისის ქარხანა მაჩვენა. იქ ათას კაცზე მეტი მუშაობდა, ასეთი დიდი ჩარხები ტრიალებდა, როგორც, აი, ჩვენი წისქვილის ქვებია. ვკითხე: რა ამუშავებს ამ ქარხანას მეთქი? ჩემმა ნაცნობმა მითხრა: აი, ეგ პატარა დინამო და მაჩვენა შავი კალათის მსგავსი კუნძი. ვკითხე: რა ღირს ეს დინამო—მეთქი.

— ათი - ხუთმეტი თუმანიო! აი, ხალხო, ჩვენ გვჭირდება ათი-ხუთმეტი თუმანი და მერე ყველაფერი თავისით მოვა!..

ლონგინოზმა ხალხი მოხიბლა, რომ ასე იაფად გადარჩებიან, რომ საჭიროა მხოლოდ დინამო, ხუთმეტ თუმნად ღირებული და რომ ამ დინამოს უკან მატორებია — ეს თვით ლონგინოზმაც არ იცოდა.

— კაცო, ხუთმეტ თუმანზეა ლაპარაკი? ჩვენ, კოლექტივი გავცილებთ, თუნდაც ორჯელ მეტიც იყოს, ოღონდ ავამუშაოთ!

ითათბირეს, იკამათეს და დაასკვნეს, რომ იყიდონ დინამო.

თავმჯდომარე ზარს აწკარუნებდა და იძახოდა:

— ავირჩიოთ დელეგატები ქალაქში გასაგზავნათ.

უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. ვინ ავირჩიოთ?

ლონგინოზი კედელთან ატუზულიყო. ამდენ საქმეს თავი მოაბა, მაგრამ „სიზიფის“ შრომა გამოუვიდა. ეხლა მას დელეგატად ვილა აირჩევდა, მაგრამ ერთმა სთქვა:

— ლონგინოზს დიდი შრომა მიუძღვის, ერთი ეგ გავგზავნოთ და მეორეც ჩვენი თავმჯდომარე.

ბევრი აღარ უკამათნიათ. ყველა დაეთანხმა.

ქალაქში წასასვლელად დელეგატებად აირჩიეს: აღმასკომის თავმჯდომარე ბესარიონი და ლონგინოზი, როგორც ამ საქმის დამწყები და შრომა-გაწეული კაცი. მხოლოდ მას უკვე უფლება შეუზღუდეს და ყველაფერი ბესარიონს დაავალეს.

### ლონგინოზი სცდილობს გარეგნობით დიდ ადამიანს დაემსგავსოს

ლონგინოზი დელეგატად აირჩიეს, მაგრამ ერთი სიფრთხილით ჩამოაქვეითეს — რადგან ბესარიონი მას კონტროლად მიუჩინეს. აღარ შეეძლო დამოუკიდებლად მოქმედება. როცა დაფიქრდა, მაშინ მიხვდა, რომ მისი პირველობა კუდმოკვეცილი იყო.

— ჩემი პრესტიჟი, ჩემი პრინციპი დაცემულია! ეს იმის ბრალია, რომ თავი ყველასთან თანასწორად მიჭირავს — ზოგჯერ ჩემი ცოლი მართალს მიჩრევს: ყველას თავი არ უნდა გავუყადრო, ჩემი გარეგნობა უნდა ეთანხმებოდეს ჩემს შინაგან სიდიადეს. ამიტომ ეს გაქონილი პალტო უნდა მოვიშორო... ის ჩემი კატელოკი უნდა დავიხურო და უთუოდ სათვალეები ვატარო!

ლონგინოზს სათვალეები არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც იყიდა ინგლისური, ფართე ძვლებზე გაკეთებული. დაიდო თავის კეხიან ცხვირზე და მთელი დღე სარკეში იცქირებოდა.

— ვის ვგევარ? რომელიღაც ევროპიელს, უთუოდ ევროპიელს... ტეხნიკს? ინჟინერს? არა! ჩემი თავი ვიღაც დიდ ადამიანში მეცნობა... სად მინახავს? ჰო, ჰო! სურათში! იბსენი! იბსენი! უთუოდ იბსენს ვგევარ! გამარჯობა, დოქტორ შტოკმან!

და თავისთავს ხელს გაუწვდიდა სარკეში!

მეორე დღეს სათვალეებით დადიოდა გაბერილი, მძიმე ნაბიჯით. ჯოხით ხელში—რაც მეტს იბერებოდა იმდენად სასაცილო ხდებოდა—მაგრამ თვითონ ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მისი სახით საქართველოში ცოცხალი იბსენი, ბევრად უმაღლესი ე. ი. ლონგინოზი დასეირნობდა.

— ერთი ანდაზა გამიგია: „კაცს გარეგნობით ხვდებიან და ჭკუით აცილებენო“. მე გარეგნობით მიმიღონ და მერე მე ვიცი, ჩემი აზრები იმათ ჭკუას როგორ მარწუხს მოუჭერს და მუდამ ჩემზე იფიქრებენ“.

ამგვარი ფიქრებით დამძიმებული ემზადებოდა დელეგატი ლონგინოზი ქალაქში წასასვლელად.

**სანდრო შანშიაშვილი**

(გაგრძელება იქნება)



საბჭოთა კურორტები. ბორჯომის ახალი ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



„მაშტოსტროი“-ს ქარხანა ამზადებს ქვაბებს ახალად აშენებულ ს ხლებისთვის.



ა. კ. სამეურნეო საწყობმა სამხედროდან მიიღო 2.500 გუთანი, რომელიც განაწილდა სხვადასხვა კოლმეურნეობებზე. საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად. სურათზე: გუთნების შემოწმება



26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ამზადებენ ქუთაისისთვის წყალსადენის მილებს.



მეცადინეობა ლენინის სახელობის მუშფაკის ფიზიკურ კაბინეტში.



სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად ერთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ გზების გაყვანას და გადაკეთებულ გზების შეკეთებას. საქართველო, სხვადასხვა კუთხეებში [illegible] წელს [illegible] დიდ საქმის შესრულებას. სურათზე: [illegible]



თამბაქოს ქარხ. „პროლეტარი“-ს ქარხკომის წევრი დამკვრელ ბრიგადების სიას ადგენს, რომლებშიაც სხვა ქარხნების მუშები სოციალისტურ შეჯიბრებაზე გამოიწვევს.



თბ. საქსოფ ქარხ. მუშებმა აიყვანეს უპატრონო ბავშვები, რომლებსაც ასწავლიან ხელობას.



აბაშის კოოპსაწყობის სახელოსნოში წითელარმიელი უხსნის გლეხს მინერალ გაზეთის მნიშვნელობას.



ცხინვალში დიდი მუშაობა სწარმოებს წყლის გასაყვანად. თბილისის ქარხნებში ამზადებენ მილებს წყალსადენისთვის.

# მიმდინარე წლის მარტში
# გამოვა

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟურნალი

# „ბოლშევიკი“

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

### თბილისში:

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

### პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყვე ·წესებულებებში.
„კომუნისტი“-ს გამოხ. ლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილ არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზ იოსკებში.

### ჟურნალის ფასი:

1930 წლის ბოლომდე — 2 მ. .
6 თვით . . . . . — 1 მ. .
3 თვით . . . . . — .
1 თვით . . . . . — .

ცალკე ნომერი ყველგან 30 კ

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 684. ტირაჟი 6000. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გამ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.